საქართველო ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე - გავიგოთ მეტი მეგობრების შესახებ

ავტორი: გიგა ჯოხაძე
რედაქტორები: გიორგი ხარებავა, გიორგი გოთუა
მთავარი რედაქტორი: ზაზა ბიბილაშვილი

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით, პროექტის „ერთიანი საქართველო ევროპისათვის“, ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი (პროექტი "„საქართველო ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე - გავიგოთ მეტი მეგობრების შესახებ") და შესაძლოა, რომ პროექტის ფარგლებში შექმნილი მასალის შინაარსი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

სარჩევი

საქართველო ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე - გავიგოთ მეტი მეგობრების შესახებ 1

შესავალი 3

ევროპის კავშირის დახმარება საქართველოს: ფაქტობრივი ინფორმაცია 7

განათლება 13

სოფლის მეურნეობა 20

მეწარმეობა 25

ინფრასტრუქტურა 30

კულტურა 37

თავდაცვა და უსაფრთხოება 42

ჯანდაცვა 45

დასკვნა 51

გამოყენებული ლიტერატურა: 53

გამოყენებული დოკუმენტები და ინტერნეტ-წყაროები: 53

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის აღდგენის (1991) შემდეგ საქართველო მძიმე გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ერთი მხრივ, მას უნდა მოეხერხებინა საკუთარი, უნიკალური ადგილის პოვნა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში, მეორე მხრივ კი, აღმოეფხვრა ის პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც ქვეყანაში საბჭოთა იმპერიის რღვევამ და დამოუკიდებლობის პირველ წლებში მიმდინარე შიდა დაპირისპირებებმა გამოიწვია. ამ პრობლემების გადაჭრის, გრძელვადიანი ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების უალტერნატივო გზად საქართველოს მოსახლეობამ ევროპული ინტეგრაცია აირჩია. 1990-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, საქართველოს დეკლარირებული მიზანი ევროპის კავშირში გაწევრიანება გახდა. მომავალი ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველო მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ევროპის კავშირს და მასთან ინტეგრაციის მიმართულებით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია.

ევროპის კავშირმა საქართველოს ეკონომიკური დახმარება 1992 წლიდან დაიწყო. ამ პერიოდში ეკონომიკური დახმარების სამი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა: ფინანსური, ჰუმანიტარული (ძირითადად სასურსათო დახმარების სახით) და ტექნიკური. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთვის ყველაზე კრიტიკულ წლებში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა მძიმე რეცესიას განიცდიდა, სიღარიბე და უმუშევრობა ისტორიულ მაქსიმუმს აღწევდა და სახელმწიფო ინსტიტუტები უკიდურესად სუსტი იყო, ევროპის კავშირის ეკონომიკური დახმარება ერთ-ერთი ის მნიშვნელოვანი საყრდენი გახდა, რამაც საქართველოს შესაძლებლობა მისცა, 1990-იანი წლების მეორე ნახევარში შესამჩნევად გაეძლიერებინა სახელმწიფო ინსტიტუტები, უზრუნველეყო სტაბილური ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის ნაწილისთვის სიღარიბით გამოწვეული მძიმე სოციალური პირობები მნიშვნელოვნად შეემსუბუქებინა.

ევროპის კავშირთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესი 2003 წლის შემდეგ შესამჩნევად დაჩქარდა, როდესაც ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ კორუფციასთან ბრძოლა და დემოკრატიული რეფორმების გატარება დაიწყო. 2003 წელს, ისტორიაში პირველად, ევროპის კავშირმა სამხრეთ კავკასიაში სპეციალური წარმომადგენელი დანიშნა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მძიმე მდგომარეობაში მყოფ საქართველოს პარტნიორმა სახელმწიფოებმა, მთავრობათშორისმა ორგანიზაციებმა და ფინანსურმა ინსტიტუტებმა ჯამში 4.5 მილიარდი დოლარის მოცულობის დახმარება გამოუყო. აშშ-ის შემდეგ ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორი ევროპის კავშირი გახლდათ, რომლის დახმარებამ 863

მილიონი ევრო შეადგინა. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკისა და ევროპის კავშირის დაფინანსებით (94.5 მილიონი დოლარი) სოფელ წეროვანში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დევნილთა სოფელი აშენდა, რომლის ფარგლებშიც საცხოვრებელი 14 000-მდე იძულებით გადაადგილებულმა პირმა მიიღო. ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით გარდამტეხი მნიშვნელობის მოვლენა 2009 წელს „აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის“ შემუშავება აღმოჩნდა, რომელმაც 6 ქვეყანა: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა და ბელარუსი მოიცვა. „აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივამ“ ხელი შეუწყო ევროპის კავშირსა და ზემოხსენებულ 6 სახელმწიფოს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას. ამავე პერიოდიდან საქართველო ევროპის კავშირის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ფარგლებში ევროპის კავშირისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული სახელმწიფო გახდა. ზემოხსენებულმა ინსტრუმენტმა ხელი შეუწყო საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის დაახლოებას. 2010 წლიდან ევროპის კავშირმა საქართველოს ვიზების გაცემის პროცედურა გაუმარტივა. ამ მოვლენიდან 7 წლის შემდეგ, 2017 წლის 28 მარტს, საქართველოს მოქალაქეებს შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის შესაძლებლობა მიეცათ. საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის ურთიერთობებში კიდევ ერთი საკვანძო მოვლენა იყო 2014 წლის 27 ივნისს ევროპის კავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება, რამაც საქართველოს ევროპის კავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური დაახლოების პროცესი საგრძნობლად დააჩქარა. ასოცირების შეთანხმების გაფორმებასთან ერთად, საქართველომ ხელი მოაწერა ევროპის კავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველ სავაჭრო შეთანხმებას (DCFTA), რომლის მეშვეობითაც საქართველო ერთიანი ევროპული სავაჭრო სივრცის ნაწილი გახდა. ევროპული ინტეგრაციის გზაზე შემდეგი და ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი აღმოჩნდა ევროპის კავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება. 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებულმა სრულმასშტაბიანმა აგრესიამ შავი ზღვის რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ვითარება ფუნდამენტურად შეცვალა. უკრაინამ, საქართველომ და მოლდოვამ გადაწყვიტეს, ევროპის კავშირის კანდიდატის წევრობაზე განაცხადი შეეტანათ. 2022 წლის ივნისში უკრაინასა და მოლდოვას ევროკომისიამ კანდიდატის სტატუსი მიანიჭა, საქართველომ კი ევროპული პერსპექტივა მიიღო. კანდიდატის სტატუსის მისაღებად ევროკომისიამ საქართველოსთვის 12 ძირითადი რეკომენდაცია (შემდეგში 9 ნაბიჯი) გასცა, რომელთა დიდი ნაწილი არ შესრულდა, თუმცა 2023 წლის 14 დეკემბერს ევროპის კავშირმა კანდიდატის სტატუსი ქართველ ხალხს მაინც მიანიჭა. [1]

[1] https://mfa.gov.ge/european-union/903144-saqartvelo-evrokavshiris-urtiertobebis-mnishvnelovani-movlenebis-qronologia

საქართველომ გასული 30 წლის განმავლობაში ევროპის კავშირთან ინტეგრაციის მიმართულებით წარმატებული ნაბიჯები გადადგა. ინტეგრაციის პროცესში მიღწეული პროგრესის პარალელურად საგრძნობლად იზრდებოდა ევროპის კავშირის დახმარების მასშტაბებიც. აღმოსავლეთ პარტნიორობასთან შეერთების შემდეგ საქართველოში ევროპის კავშირის ათასობით პროექტი განხორციელდა, რომლებმაც ქვეყანა პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებით ევროპის კავშირთან მნიშვნელოვნად დააახლოვა. ევროპის კავშირი საქართველოს ეხმარება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: სოფლის მეურნეობა, მეწარმეობა, კორუფციასთან ბრძოლა, კულტურა, განათლება, ენერგეტიკა, ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა, ეკოლოგია, მართლმსაჯულება, ადგილობრივი თვითმმართველობა, თავდაცვა, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა და ა.შ. [2]

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ევროპის კავშირმა საქართველოს დასახმარებლად 2.5 მილიარდ ევროზე მეტი ოდენობის დახმარება გამოყო. დახმარების მასშტაბები, განსაკუთრებით 2014 წლიდან, გაიზარდა.[3] 2014 წლიდან მოყოლებული, ევროპის კავშირის მიერ საქართველოსთვის განკუთვნილი დახმარება ყოველწლიურად დაახლოებით 120-130 მილიონ ევროს შეადგენს. 2014-2020 წლებში ევროპის კავშირის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილმა დახმარებამ 938.4 მილიონი ევრო შეადგინა. გამოყოფილი 938.4 მილიონი ევროდან, ყველაზე მეტი, 254 მილიონი ევრო სოფლის მეურნეობაზე დაიხარჯა, 171 მილიონი ევრო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე/კავშირგაბმულობაზე, 168 მილიონი ევრო ეკონომიკურ განვითარებაზე/საბაზრო შესაძლებლობების გაზრდაზე, 109 მილიონი ევრო დემოკრატიული მმართველობისა და მართლმსაჯულების გაძლიერებაზე, 90 მილიონი ევრო საჯარო ადმინისტრირების რეფორმაზე, 82 მილიონი COVID-19-ის აღმოსაფხვრელად მიმართულ და სხვა ხარჯებზე, არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებაზე კი 28 მილიონი ევრო დაიხარჯა. პროცენტულად, გამოყოფილი თანხის 27% სოფლის მეურნეობის პროგრამებზე, 18-18% ეკონომიკურ განვითარებასა და კომუნიკაციებზე, 12% დემოკრატიული რეფორმების გაძლიერებასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე, 9.5% საჯარო ადმინისტრირების რეფორმაზე, 8.7% კოვიდის წინააღმდეგ ბრძოლასა და სხვა ხარჯებზე, 4% ხალხთა შორისი კონტაქტების ხელშეწყობაზე, 3% კი არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებისთვის დაიხარჯა.[4]

---

[2] https://eu4georgia.eu/ka/projects/?search=&country%5B0%5D=1&country%5B1%5D=2&filter=ongoing&country_view%5B0%5D=1&country_view%5B1%5D=2&pageno=5

[3] https://infocenter.gov.ge/en/blog-en/how-did-the-european-union-help-georgia-and-why-should-georgia-join-the-european-union/

[4] https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/evaluation-eu-support-georgia-2014-2020_en?s=221

წინამდებარე დოკუმენტში ასახულია უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში საქართველოსადმი ევროპის კავშირის დახმარების მასშტაბები. წარმოდგენილი ფაქტობრივი ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები საქართველოს მოქალაქეებს დაეხმარება იმის უკეთ გააზრებაში, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარებისთვის ევროპის კავშირის მიერ გაწეული დახმარება. ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული ევროპის კავშირის მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტები შემდეგ დარგებში: განათლება, სოფლის მეურნეობა, მეწარმეობა, ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა, თავდაცვა და კულტურა.

ევროპის კავშირის დახმარება საქართველოს: ფაქტობრივი ინფორმაცია



ჯამურად, 2014-2020 წლებში ევროპის კავშირის მიერ გამოყოფილი თანხის 48% საქართველოს მთავრობამ აითვისა, 17%-ის განმკარგავი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, 12%-ის. - საერთაშორისო ორგანიზაციები, 9%-ის - სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები (CSOs), 8%-ის - კერძო სექტორი, ხოლო 5%-ის ევროპის კავშირის ცალკეული წევრი სახელმწიფო აღმოჩნდნენ. [5]

[5] https://grass.org.ge/uploads/other/2023-02-28/1510.pdf



ევროპის კავშირის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარება 2021-2024 წლებში 340 მილიონ ევროს შეადგენს. ჯამურად, მხოლოდ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ევროპის კავშირმა საქართველოს 1 278 000 000 ევროს ოდენობის პირდაპირი დახმარება გამოუყო.[6]

[6] https://mythdetector.ge/en/what-financial-assistance-did-the-european-union-provide-to-georgia-for-business-and-other-areas/


დიაგრამა N 3 - ევროპის კავშირის დახმარება 2021-2024 წლებში სექტორების მიხედვით (მლნ ევრო) & ევროპის კავშირის დახმარების პროცენტული განაწილება სექტორების მიხედვით
140
120
100
80
60
40
20
0
119
35
51
15
68
20
34
10
51
15
17
5
მედეგი, მდგრადი და ინტეგრირებული ეკონომიკა
ინსტიტუციური განვითარება, მართლმსაჯულება და უსაფრთხოება
გარემოსდაცვითი და კლიმატური მედეგობა
ციფრული ტრანსფორმაცია
ბენდერული თანასწორობისა და ინკლუზიური საზოგადოების ხელშეწყობა
მხარდამჭერი ზომები
ევროპის კავშირის დახმარება 2021-2024 წლებში სექტორების მიხედვით (მლნ ევრო)
ევროპის კავშირის დახმარება 2021-2024 წლებში პროცენტულად სექტორების მიხედვით (%)

ვნახოთ, როგორია ევროპის კავშირის დახმარების განაწილება სამთავრობო სექტორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ბოლო 5 წლის განმავლობაში. 2019-2024 წლებში ევროპის კავშირმა საქართველოს დასახმარებლად ჯამურად 563.1 მილიონი ევრო გამოყო, საიდანაც 517 მილიონი ევრო სახელმწიფო უწყებებმა მიიღეს, 46.1 მილიონი ევრო კი არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებაზე დაიხარჯა. შესაბამისად, ევროპის კავშირის მხრიდან საქართველოს ხელისუფლებისთვის უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოყოფილი დახმარება 11-ჯერ აღემატება იმავე პერიოდში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი დახმარების მოცულობას. [7]

ცხრილი N 1 - ევროპის კავშირის მიერ 2019-2024 წლებში გამოყოფილი დახმარება სახელმწიფო უწყებების მიხედვით

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/ადგილობრივი თვითმმართველობები	111.55 მლნ ევრო
ფინანსთა სამინისტრო	101.40 მლნ ევრო
თავდაცვის სამინისტრო	62.75 მლნ ევრო
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სააგენტოები	57 მლნ ევრო
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	5 მლნ ევრო
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სააგენტოები	25.07 მლნ ევრო
მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია	19 მლნ ევრო
განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	12.85 მლნ ევრო
შინაგან საქმეთა სამინისტრო	10.5 მლნ ევრო
მთავრობის ადმინისტრაცია	4 მლნ ევრო
საქართველოს პარლამენტი	4.8 მლნ ევრო

[7] https://www.instagram.com/p/C9eTub3hV06/?img_index=1

პირდაპირი ფინანსური დახმარების გარდა, 1992-2022 წლებში საქართველოს მთავრობამ ევროპის კავშირისგან გრანტის სახით 791.71 მილიონი ევრო მიიღო. აქედან, 114.47 მილიონი ევრო - იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერას, 61.37 მილიონი ევრო - ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, 48.5 მილიონი ევრო - სასამართლო რეფორმას, 47.1 მილიონი ევრო - სასურსათო უსაფრთხოებას, 41.91 მილიონი ევრო - რეგიონულ განვითარებას, ხოლო 22.75 მილიონი ევრო მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას მოხმარდა. დანარჩენი თანხები სხვადასხვა სექტორსა და საქართველოს განსაკუთრებულ ფინანსურ საჭიროებებზე დაიხარჯა.[8]

ზემოხსენებული სტატისტიკური მონაცემები ხაზს უსვამს ევროპის კავშირის საქართველოსთვის გაწეული დახმარების კრიტიკულ მნიშვნელობას. სამწუხაროდ, 2024 წლის მაისში საქართველოს პარლამენტის მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებამ ევროპის კავშირში საქართველოს ინტეგრაცია მნიშვნელოვნად შეაფერხა. ევროპის კავშირის ინსტიტუტები, კავშირის წევრი სახელმწიფოები საქართველოს ხელისუფლებას ერთხმად მოუწოდებდნენ, არ მიეღო ზემოხსენებული კანონი იმ საფრთხეების გამო, რომლებითაც ეს კანონი საქართველოში დემოკრატიას შეაფერხებს. ევროპელი პარტნიორების არაერთი მოწოდების მიუხედავად, ხელისუფლებამ კანონი მაინც მიიღო, რამაც საქართველოს ევროპის კავშირში ინტეგრაციის პროცესი გაურკვეველი ვადით შეაჩერა.

2024 წლის 9 ივლისს საქართველოში ევროპის კავშირის ელჩმა, პაველ ჰერჩინსკიმ, განაცხადა, რომ ევროპულმა გაერთიანებამ საქართველოს ევროპის კავშირში ინტეგრაციის განუსაზღვრელი ვადით შეჩერების გადაწვეტილება მიიღო. გარდა ამისა, ევროპის კავშირმა გაყინა საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებისთვის განსაზღვრული 30 მილიონი ევროს დახმარება. დამატებით, ჰერჩინსკიმ აღნიშნა, რომ ევროპის კავშირის პირდაპირი დახმარებების ნახევარზე მეტი საქართველოს სამთავრობო უწყებებზე მოდის, ამიტომ ბრიუსელმა მიიღო გადაწყვეტილება, გამოყოფილი თანხების ნაწილი სამთავრობო უწყებებს ჩამოართვას და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გადასცეს. ამასთან, გერმანიის ელჩმა, პეტერ ფიშერმა, განაცხადა, რომ გერმანიამ შეაჩერა საქართველოსთან მიმართებით ახალი ფინანსური ვალდებულებების აღება. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველო ახალ ფინანსურ დახმარებებს ვეღარ მიიღებს სახელმწიფოსგან,

[8] https://factcheck.ge/storage/media/other/2024-04-18/375dc1c0-fd8c-11ee-bd69-b3a753996ede.pdf?fbclid=IwY2xjawE5HtRleHRuA2FlbQIxMAABHQQ2RPMDe_1NIUt_WlxmRf-th6WEQPp2aISzh1m7bQn52_lXUZOdbABv4Q_aem_mVn7ddlQPtbUnYjIo_oVBg

რომელიც ევროპის კავშირში საქართველოს ყველაზე მსხვილი ფინანსური კონტრიბუტორია. 9

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ საქართველოს ევროპის კავშირში ინტეგრაციის პროცესი, სულ მცირე, იქამდეა შეჩერებული, სანამ „კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ არ გაუქმდება. შესავალში შემოგთავაზეთ რამდენიმე საყურადღებო სტატისტიკური მაჩვენებელი, რომლებიც აჩვენებს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ევროპის კავშირის პირდაპირი დახმარება საქართველოსთვის, რომლის შეჩერება ქართველ ხალხს მნიშვნელოვნად დააზარალებს. ნაშრომის შემდეგი ნაწილი მიეძღვნება საქართველოში ევროპის კავშირის მიერ განხორციელებული პროექტების მიმოხილვას ცალკეული სექტორის მიხედვით.

[9] https://civil.ge/ka/archives/615700

განათლება

ხარისხიანი, ევროპული ტიპის განათლების ხელშეწყობა საქართველოში ევროპის კავშირისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა. ევროპის კავშირი საქართველოში საგანმანათლებლო პროექტებს 1995 წლიდან აფინანსებს. განათლების მიმართულებით დაფინანსებული პროექტების ძირითადი მიზანი საქართველოში განათლების ზოგადი დონისა და ქართველი მოსწავლეებისთვის/სტუდენტებისთვის ევროპული ხარისხის განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდაა.

1995-2024 წლებში ევროპის კავშირმა საქართველოში განათლების ხელშეწყობისთვის 80 მილიონ ევროზე მეტი დახარჯა. 1995-2013 წლებში ევროპის კავშირის TEMPUS პროგრამით 53 987 155 ევროს ღირებულების 70-ზე პროექტი დაფინანსდა. ამ პერიოდის პროექტების 80% ფოკუსირებული იყო ისეთი დარგების განვითარებაზე, როგორებიცაა: ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია, მედიცინა, ვეტერინარია, გარემოს დაცვა და ა.შ. 2014-2024 წლებში ევროპის კავშირმა საქართველოში განათლების სფეროს განვითარებისთვის 23 853 002 ევროს ღირებულების გრანტი გამოყო, რომელიც ქართველი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების სასწავლო-გაცვლით პროგრამებს მოხმარდა. განათლების სფეროში ინსტიტუციური განვითარების Erasmus+ პროგრამის ფარგლებში ევროკავშირს საქართველოში 2 598 003 ევროს ღირებულების მიმდინარე საგრანტო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. პროგრამაში ამჟამად საქართველოში აკრედიტებული 21 უმაღლესი სასწავლებელია ჩართული.[10]

[10] https://www.facebook.com/monitorstudio/posts/pfbid02CeYYYeyrzH7RwyiSYA9Vq4M1t74vforCXkrFqPzkAYbtLteED3FCaZzM8qcmdumhl



1995 წლიდან მოყოლებული, ევროპის კავშირი განათლების მიმართულებით საქართველოში რამდენიმე ფლაგმანურ პროექტს ახორციელებს, რომელთა შორისაც ორი ყველაზე მსხვილი პროგრამა: TEMPUS და ERASMUS-ია.

TEMPUS ევროპის კავშირის ერთ-ერთი მსხვილი საგანმანათლებლო პროგრამაა, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა და თანამშრომლობის გაღრმავება ევროპის კავშირის პარტნიორ სახელმწიფოებთან. ზემოხსენებული პროგრამა ითვალისწინებს პარტნიორი სახელმწიფოების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობას ევროპის კავშირის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, პარტნიორ სახელმწიფოებში განათლების ევროპული სტანდარტების დანერგვას, ამ ქვეყნებში თანამედროვე სასწავლო პროგრამების შემუშავებას, ლექტორთა კვალიფიკაციის ამაღლებას, უახლესი სასწავლო ლიტერატურით მომარაგებას, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას, საუნივერსიტეტო მენეჯმენტის გაუმჯობესებას, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვასა და განვითარებას და ა.შ. სულ, 1990 წლიდან 2013 წლის ჩათვლით საქართველოში TEMPUS პროგრამის 70-ზე მეტი პროექტი განხორციელდა.[11]

განათლების მიმართულებით ევროპის კავშირის ყველაზე მსხვილი პროგრამა ERASMUS-ია, რომელიც ხელს უწყობს პარტნიორ სახელმწიფოებსა და მათ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ევროპულ უნივერსიტეტებთან

[11] http://erasmusplus.org.ge/files/files/Tempus_and_Erasmus_Mundus_in_Georgia-overview-ge.pdf

თანამშრომლობის გაღრმავებაში და შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, პროფესორებსა და მკვლევრებს მოიპოვონ დაფინანსება წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებში. ERASMUS+ მობილობის პროგრამაში 32 ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მონაწილეობს, რომელთაც 33 ევროპული ქვეყნის ასობით უნივერსიტეტთან აქვთ თანამშრომლობა გაფორმებული. ERASMUS+ მობილობის პროგრამით 2007 წლიდან საქართველოში ათასობით სტუდენტმა და აკადემიურმა პერსონალმა ისარგებლა. ERASMUS+ მობილობის პროგრამაში 2007-2023 წლებში ევროპულ უნივერსიტეტებში 11 076 ქართველი სტუდენტი მონაწილეობდა.[12] სტუდენტების მობილობის პროგრამაში მონაწილე სტუდენტების რაოდენობით 141 სახელმწიფოს შორის საქართველო მეექვსე ადგილზეა.



ERASMUS პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ERASMUS MUNDUS საერთო სამაგისტრო პროგრამა, რომელიც პარტნიორი სახელმწიფოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს 33 ევროპული სახელმწიფოს უნივერსიტეტებში 1- ან 2-წლიანი, საერთო და/ან ორმაგ სამაგისტრო პროგრამაზე დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობას აძლევს. ERASMUS MUNDUS საერთო სამაგისტრო პროგრამის დაფინანსება 2014-2023 წლებში საქართველოდან 341-მა სტუდენტმა მოიპოვა.[13]

12

13 https://erasmus-plus.ec.europa.eu/resources-and-tools/statistics-and-factsheets



ERASMUS + ის მნიშვნელოვანი ნაწილია ჟან მონეს პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ევროპის კავშირის ღირებულებებისა და ფასეულობების პოპულარიზაციას, ევროპის კავშირის შესახებ კვლევებისა და სწავლების განვითარების ხელშეწყობის გზით. ჟან მონეს პროგრამა 4 ძირითადი ნაწილისგან შედგება: 1. ჟან მონეს მოდული - წარმოადგენს მოკლე სასწავლო პროგრამას (ან კურსს) ევროპის კავშირის კვლევების მიმართულებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში; 2. ჟან მონეს კათედრა - წარმოადგენს მასწავლებლის თანამდებობას ევროპის კავშირის კვლევების სპეციალიზაციით უნივერსიტეტის ლექტორებისა და პროფესორებისთვის; 3. ჟან მონეს ევროპის კავშირის კვლევების წამყვანი ცენტრები - წარმოადგენს ძირითად საინფორმაციო პუნქტებს ევროპის კავშირის საკითხების შესახებ. ცენტრი აერთიანებს ექსპერტებს ევროპის კავშირის კვლევების მიმართულებით (ლექტორებს, მოდულის ხელმძღვანელებსა და კათედრის ხელმძღვანელს) და მისი მიზანია ევროპის კავშირის კვლევების სხვადასხვა მიმართულების, დისციპლინებსა და რესურსებს შორის მდგრადი ურთიერთობების ჩამოყალიბება; 4. ჟან მონეს პოლიტიკის დებატები - წარმოადგენს იმ დიდ თემატურ ქსელებს უმაღლეს განათლებაში, რომელთა ძირითადი მიზანია პარტნიორებს შორის კვლევის შედეგების, კურსების შინაარსისა და გამოცდილებების, ასევე, პროდუქტების (კვლევები, პუბლიკაციები და ა.შ.)

შეგროვება, გაზიარება და განხილვა.[14] 2014 წლიდან საქართველომ მონაწილეობა მიიღო ჟან მონეს პროგრამის 38 პროექტში, საქართველოდან პროგრამაში მონაწილეთა საერთო რაოდენობამ კი, 2023 წლის მონაცემებით, 2814 ადამიანი შეადგინა.



ერასმუსის კრიტიკულად მნიშვნელოვან ნაწილს უმაღლესი განათლების მიმართულებით შესაძლებლობების გაძლიერების (CBHE) პროგრამა წარმოადგენს. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მოდერნიზაციას და რეფორმირებას, უნივერსიტეტებში მმართველობის გაუმჯობესებას, ახალი კურიკულუმების შედგენას. პროგრამის მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის დაახლოებით 10% „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ 6 სახელმწიფოზე ნაწილდება. 2014-2023 წლებში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 52 ისეთი პროექტი, რომლებშიც საქართველოც მონაწილეობდა, ამ 52-დან უშუალოდ 15 პროექტის კოორდინატორი საქართველო იყო. რაც შეეხება პროგრამაში ინდივიდუალურად მონაწილეობას, 2014-2023 წლებში პროგრამაში საქართველოდან მონაწილეობდა 251 ინდივიდი.[15]

[14] http://erasmusplus.org.ge/ka/services/jean-monnet

[15] https://erasmus-plus.ec.europa.eu/resources-and-tools/statistics-and-factsheets



ზემოთ ჩამოთვლილი საფლაგმანო პროგრამების გარდა, საქართველო განათლების მიმართულებით ERASMUS+ ის რამდენიმე პროექტში მონაწილეობს. 2022 წლიდან საქართველო ჩაერთო პროფესიული განათლებისა და ტრენინგის მიმართულებით შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამაში (CBVET). პროგრამა მიზნად ისახავს პარტნიორ სახელმწიფოებში პროფესიული განათლების, როგორც მდგრადი სოციო-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი საწინდარის, წახალისებას. მიმდინარე პერიოდისთვის საქართველო CBVET პროგრამის 3 პროექტში მონაწილეობს.[16] დამატებით, საქართველო 2021 წლიდან შეუერთდა ახალგაზრდობის შესაძლებლობის გაძლიერების პროექტს (CBY), რომელიც პარტნიორ სახელმწიფოებში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობაზეა ორიენტირებული.

ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამების გარდა, საქართველო ევროპის კავშირის შემდეგ საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობს:

1. EU4YOUTH - მიზნად ისახავს ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას;

[16] https://erasmus-plus.ec.europa.eu/resources-and-tools/statistics-and-factsheets

2. Twinning projects - მიზნად ისახავს საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების დაახლოებას ევროპის კავშირის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

3. European School in Georgia - ხელს უწყობს საქართველოში ევროპული ღირებულებების გავრცელებას, სთავაზობს „აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის“ ქვეყნებს ევროპულ უნივერსიტეტებში დაფინანსების შესაძლებლობას.

ევროპის კავშირის მიერ დაფინანსებულმა საგანმანათლებლო პროექტებმა ათასობით ახალგაზრდას მისცა ევროპული განათლების მიღების საშუალება. ზემოხსენებულმა პროექტებმა ასევე ხელი შეუწყო საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ევროპულ საგანმანათლებლო სისტემასთან მაქსიმალურად დაახლოებას, საქართველოში ევროპული ღირებულებების გავრცელებას და, შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობაში პროევროპული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას.

სოფლის მეურნეობა

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობა საქართველოში ევროპის კავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებს შორის ყველაზე პრიორიტეტულ დარგს წარმოადგენს. 2013 წლიდან მოყოლებული ევროპის კავშირმა საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის 234.5 მილიონი ევრო დახარჯა.

სოფლის მეურნეობის მიმართულებით ევროპის კავშირის მხარდაჭერით 2013 წლიდან საქართველოში ხორციელდება ფლაგმანური პროექტი, სახელწოდებით "ENPARD". პროექტი მიზნად ისახავს:

- სოფლის მეურნეობის ინსტიტუტების ეფექტიანობის გაუმჯობესებასა და მათ დახმარებას სოფლის მეურნეობის სექტორის რეფორმირების პროცესში;
- სოფლად დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას მცირე ფერმერული კოოპერატივების გაძლიერებით და რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით;
- სოფლად სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიკაციის ხელშეწყობას, გარემო პირობებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვით.[17]

2013 წლიდან მოყოლებული, საქართველოში ENPARD პროგრამის 4 ფაზა განხორციელდა/ხორციელდება.

I ფაზა - განხორციელდა 2014-2017 წლებში, დაფინანსდა 52 მილიონი ევროთი;
II ფაზა - განხორციელდა 2016-2019 წლებში, დაფინანსდა 50 მილიონი ევროთი;
III ფაზა - განხორციელდა 2018 – 2022 წლებში, დაფინანსდა 77.5 მილიონი ევროთი;[18]
IV ფაზა - განხორციელდა/ხორციელდება 2021 – 2025 წლებში, დაფინანსებულია 55 მილიონი ევროთი.[19]

ჯამურად, 2013-2024 წლებში ევროპის კავშირმა ENPARD პროექტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის 234.5 მილიონი ევრო გამოყო, რომლის ფარგლებშიც არაერთი სასარგებლო პროექტი განხორციელდა. ევროპის კავშირის მიერ განხორციელებულმა პროექტებმა ქართველი ფერმერების ცხოვრება უკეთესობისკენ

[17] https://eu4georgia.eu/enpard/
[18] https://eu4georgia.eu/ka/enpard/
[19] https://bm.ge/news/ras-itvaliswinebs-55-mln-iani-enpard-is-meotxe-faza-romelic-2025-wlamde-unda-shesruldes/120664

შეცვალა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით საქართველოს, როგორც აგროკულტურული ქვეყნის პოტენციალი მნიშვნელოვნად გაზარდა.



ENPARD პროგრამის პირველი სამი ფაზა წარმატებით განხორციელდა. პროგრამის პირველი სამი ფაზის შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:

- ჩამოყალიბდა 1 000-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რამაც ფერმერების ეკონომიკურ გაძლიერებას ხელი შეუწყო;

- ევროპის კავშირის პირდაპირი ფინანსური დახმარება მიიღო 280-ზე მეტ კოოპერატივში გაწევრიანებულმა 2 000-ზე მეტმა ფერმერმა;

- ევროპის კავშირის დაფინანსებით ბიზნესის მართვასა და თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გადამზადდა 8 000-ზე მეტი ფერმერი;

- რეგიონებში ჩამოყალიბებული 59 საინფორმაციო და საკონსულტაციო/ექსტენციის ცენტრების დახმარებით, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში კონსულტაცია გაეწია 250 000-ზე მეტ ადამიანს;

- ENPARD-ის სამიზნე რეგიონებში შეიქმნა ან შენარჩუნდა 2 600 სამუშაო ადგილი, რომელთა უმეტესობა (1 700) ქალთა დასაქმებას ემსახურება;

- ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში ქვეყანაში წარმატებით ინერგება სოფლის განვითარების ევროპული მოდელი. სამოქალაქო საზოგადოებასთან, საჯარო და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით, პროგრამა აძლიერებს მოსახლეობას და ეხმარება მას ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (LAG) ჩამოყალიბებაში, რათა მან თავად შეძლოს საკუთარ თემსა და სოფლის განვითარებაზე ზრუნვა. ევროპის კავშირის დახმარებით, ადგილობრივი განვითარების ჯგუფები საქართველოს 12 მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდა;

- ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (LAG) უშუალო ჩართულობით ევროპის კავშირმა საქართველოში 500-ზე მეტი ადგილობრივი განვითარების ინიციატივა დააფინანსა. ეს ინიციატივები ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას უწყობს ხელის, 1 000-ზე მეტ ოჯახს უკეთესი დასაქმების საშუალებას აძლევს და 10 000-ზე მეტ სოფლად მოსახლეს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში ეხმარება. [20]

ცხრილი N 1 – ENPARD-ის პირველი 3 ფაზის შედეგები რიცხვებში (2014-2024)

[20] https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1_ka

ჩამოყალიბებული კოოპერატივების რაოდენობა	1000>
პირდაპირი ფინანსური დახმარების მიმღები ფერმერების რაოდენობა	280
ბიზნესის მართვასა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გადამზადებული ფერმერების რაოდენობა	8000>
რეგიონებში ჩამოყალიბებული საინფორმაციო და ექსტენციური ცენტრების რაოდენობა	59
პროგრამის ფარგლებში კონსულტაცია გაწეული ფერმერების რაოდენობა	250 000>
საქართველოს მუნიციპალიტეტებში ჩამოყალიბებული ადგილობრივი განვითარების ჯგუფების რაოდენობა	12
პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ადგილობრივი ინიციატივების რაოდენობა	500>
ENPARD სამიზნე რეგიონებში შექმნილი ან შენარჩუნებული სამუშაო ადგილების რაოდენობა	2600

ENPARD-ის პროგრამამ ხელი შეუწყო საქართველოში მარცვლოვანი კულტურების ყოველწლიური წარმოების გაზრდასაც. მაგალითად, ერთ ჰექტარზე მოყვანილი ხორბლის რაოდენობა 2014 წელს 2.3 ტონა იყო, 2020 წელს ეს რიცხვი 3.1 ტონამდე გაიზარდა. ერთ ჰექტარ ტერიტორიაზე მოყვანილი სიმინდის რაოდენობა 2014 წელს 1.4 ტონას შეადგენდა, 2020 წელს კი - 2.2 ტონას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში გაიზარდა ერთი წლის განმავლობაში ბაზარზე გაყიდული მარცვლოვანი და სხვა სახის კულტურების რაოდენობა. მაგალითად, 2016 წელს ბაზარზე 81.1 ტონა ხორბალი გაიყიდა, 2022 წელს - 83.3 ტონა. 2016 წელს ბაზარზე გაყიდული ქერის რაოდენობა 65.4 ტონას შეადგენდა, რომელიც 2022 წლისთვის 70.5 ტონამდე გაიზარდა. ყველაზე მეტად გაიზარდა სიმინდის გაყიდვის მაჩვენებელი - 2016 წელს ბაზარზე 39.9 ტონა სმინდი გაიყიდა, 2022 წელს კი - 83.3 ტონა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ბაზარზე

გაყიფული კარტოფილის რაოდენობაც - 2016 წელს ბაზარზე 62.2 ტონა კარტოფილი გაიყიდა, 2022 წელს ეს რიცხვი 70.5 ტონამდე გაიზარდა. [21]

ცხრილი N 2 – ბაზარზე გაყიდული მარცვლოვანი და სხვა კულტურების რაოდენობა 2016-2022, ტონა

	2016	2017	2018	2019	2022
ხორბალი	81.1	84.2	82.8	83.5	83.3
ქერი	65.4	66.0	70.3	73.8	70.5
სიმინდი	39.9	39.2	48.2	53.0	83.3
კარტოფილი	62.2	62.3	70.3	73.8	70.5

ევროპის კავშირის მიერ დაფინანსებულმა სოფლის მეურნეობის პროექტებმა ხელი შეუწყო საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებას, ფერმერების გადამზადებას და მათი ცნობიერების ამაღლებას, რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნას, ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების წარმოების ზრდას, სოფლის მეურნეობის სექტორში ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას და ა.შ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარება საქართველოში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ევროპის კავშირის პირდაპირ დახმარებასა და მის მიერ საქართველოში განხორციელებულ პროექტებზე.

[21] EVALUATION OF THE EU'S COOPERATION WITH GEORGIA, Final Report, Volume I – Main report, September 2022, pp 230

მეწარმეობა

ევროპის კავშირი საქართველოში მეწარმეობის დარგის განვითარებისთვის ყოველწლიურად ასობით მილიონ ევროს ხარჯავს. მეწარმეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად ევროპის კავშირი საქართველოში ახორციელებს ფლაგმანურ პროექტს, სახელწოდებით „EU4BUSINESS". პროექტი საქართველოსა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის" დანარჩენ 5 სახელმწიფოში 2009 წლიდან ხორციელდება.

EU4BUSINESS პროგრამის მთავარი მიზანია საქართველოში კერძო სექტორის გრძელვადიანი მხარდაჭერის უზრუნველყოფა, განსაკუთრებული ყურადღება კი გამახვილებულია მცირე და საშუალო ბიზნესების (SMEs) შესაძლებლობების გაძლიერებაზე. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს ქვეყანაში ბიზნესგარემოს ხელშეწყობას, მეწარმეობისა და ექსპორტის წახალისებას, შესაბამისად, სტაბილური ეკონომიკურ განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

EU4BUSINESS პროგრამის ფარგლებში მცირე და საშუალო ბიზნესები ევროპის კავშირისგან იღებენ:

1. მილიონობით ევროს ოდენობის პირდაპირ დახმარებას, გრანტებსა თუ შეღავათიან სესხებს;

2. ბიზნესკონსულტაციებს;

3. მეწარმეობის თვალსაზრისით ცნობიერების ამაღლების საშუალებას;

4. ევროპის კავშირის სახელმწიფოებთან ვაჭრობის ხელშეწყობის შესაძლებლობას. [22]

EU4BUSINESS-ის ფარგლებში ყოველწლიურად ათასობით ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესი ევროპის კავშირისგან ასობით მილიონი ევროს ოდენობის დახმარებას იღებს, რაც ამ კომპანიების მხრიდან ყოველწლიურად დამატებით ასობით მილიონი ევროს გენერირებულ შემოსავალში აისახება. მაგალითად 2023 წელს EU4BUSINESS პროგრამა დაეხმარა 39 072 მცირე და საშუალო ბიზნესს. ამავე წელს პროგრამის დახმარებით საქართველოში შეიქმნა 36 973 ახალი სამუშაო ადგილი,

[22] https://eu4business.eu/about-us/initiative/

ხოლო ზემოხსნებული კომპანიების მიერ დამატებით გენერირებულმა შემოსავალმა 200 მილიონი ევრო შეადგინა. [23]

2019 წლიდან მოყოლებული EU4BUSINESS პროგრამის ფარგლებში ევროპის კავშირი 159 516 მცირე და საშუალო ქართულ ბიზნესს დაეხმარა.[24]

ცხრილი N 1 - ევროპის კავშირის მიერ EU4BUSINESS პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი მცირე და საშუალო ბიზნესების რაოდენობა საქართველოში (2019-2023)

წელი	ევროპის კავშირის მიერ მხარდაჭერილი მცირე და საშუალო ბიზნესების რაოდენობა
2019	36 234
2020	18 947
2021	34 634
2022	30 628
2023	39 072

ზემოხსენებული 5 წლის განმავლობაში ევროპის კავშირმა მცირე და საშუალო ქართულ ბიზნესებს 1 287 095 000 ევროს ოდენობის დახმარება გაუწია.[25]

ცხრილი N 2 - ევროპის კავშირის EU4BUSINESS პროგრამის ფარგლებში მცირე და საშუალო ქართული ბიზნესებისთვის გაწეული დახმარების რაოდენობა 2019-2023 წლებში (მლნ ევრო)

წელი	ევროპის კავშირის დახმარება მცირე და საშუალო ქართულ ბიზნესებს (მლნ ევრო)
2019	328.83
2020	300.90
2021	276.78
2022	341.44
2023	44.00

[23] https://eu4georgia.eu/sme-growth-and-innovation-in-georgia/
[24] https://eu4business.ge/en/reports/
[25] https://eu4business.ge/en/reports/

2019-2023 წლებში ევროპის კავშირის მხრიდან ქართული ბიზნესებისთვის გაწეულმა დახმარებამ ქვეყანაში 118 000-ზე მეტი სამუშაო ადგილი გააჩინა.[26]

ცხრილი N 3 - EU4BUSINESS პროგრამის დახმარებით საქართველოში შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა 2019-2023 წლებში (ათასი)

წელი	EU4BUSINESS პროგრამის დახმარებით საქართველოში შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა (ათასი)
2019	31 443
2020	10 055
2021	15 643
2022	24 244
2023	36 973

2019-2023 წლებში, ევროპის კავშირის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის გაწეული დახმარების შედეგად ამ ბიზნესების მიერ მიღებული დამატებითი შემოსავლის რაოდენობამ 1.030 მილიარდ ევროს გადააჭარბა. [27]

ცხრილი N 4 - ევროპის კავშირის დაფინანსების მეშვეობით მცირე და საშუალო ქართული ბიზნესების მიერ მიღებული დამატებითი შემოსავალი 2019-2023 წლებში (მლნ ევრო)

წელი	მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ მიღებული დამატებითი შემოსავალი (მლნ ევრო)
2019	414.8
2020	69.83
2021	120
2022	228
2023	200

2019-2023 წლებში ევროპის კავშირის მიერ მხარდაჭერილი ქართული მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის საშუალო წლიური ზრდა 12.9% იყო.[28]

[26] https://eu4business.ge/en/reports/
[27] https://eu4business.ge/en/reports/
[28] https://eu4business.ge/en/reports/

ცხრილი N 5 - ევროპის კავშირის მიერ მხარდაჭერილი მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის ზრდა 2019-2023 წლებში (%)

წელი	EU-ს მიერ მხარდაჭერილი მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის ზრდა
2019	14.4%
2020	9.35%
2021	10.05%
2022	18%
2023	12.8%

2019-2023 წლებში EU4BUSINESS პროგრამის ფარგლებში საქართველოში მეწარმეობის მხარდასაჭერად 216 მსხვილი პროექტი განხორციელდა. [29]

ცხრილი N 6 – EU4BUSINESS პროგრამის ფარგლებში საქართველოში მეწარმეობის მხარდასაჭერად განხორციელებული პროექტების რაოდენობა (2019-2023)

წელი	მეწარმეობის მხარდასაჭერად საქართველოში განხორციელებული პროექტების რაოდენობა
2019	47
2020	38
2021	36
2022	45
2023	50

მხოლოდ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში EU4BUSINESS პროგრამის შედეგები (159 516 ქართული მცირე და საშუალო ბიზნესისთვის გაწეული 1 287 095 000 ევროს ოდენობის დახმარება, 116 335 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა, 1.030 მილიარდი ევროს ოდენობის დაგენერირებული დამატებითი შემოსავალი, მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვის 12.9%-იანი წლიური ზრდა და მეწარმეობის მხარდასაჭერად

[29] https://eu4business.ge/en/reports/

განხორციელებული 216 მსხვილი პროექტი) ნამდვილად შთამბეჭდავად გამოიყურება. ზემოხსენებული სტატისტიკური მონაცემები კარგად აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ევროპის კავშირის ყოველწლიური დახმარება საქართველოში მეწარმეობის, მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარების თვალსაზრისით.

\

ინფრასტრუქტურა

ევროპის კავშირი საქართველოში აფინანსებს მრავალ ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურად ათვისებას, ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ინფრასტრუქტურის სფეროში ევროპის კავშირის დაფინანსება 4 ძირითად მიმართულებას მოიცავს: 1. სატრანსპორტო ქსელების განვითარება; 2. ენერგოინფრასტრუქტურის განვითარება, რომლის მთავარი პრიორიტეტი განახლებადი ენერგიის წახალისებაა; 3. წყლის რესურსების განვითარება; 4. ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება.

ევროპის კავშირმა საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, 2007 წლიდან მოყოლებული, ასობით მილიონი ევრო გამოყო. 2014-2020 წლებში ევროპის კავშირის დახმარებამ ინფრასტრუქტურის/კავშირგაბმულობის მიმართულებით 179 მილიონი ევრო შეადგინა. 2019-2024 წლებში ევროპის კავშირმა 111.5 მილიონი ევროს პირდაპირი დახმარება გამოუყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ხოლო დამატებით 57 მილიონი ევრო - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს/სააგენტოებს.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიმართულებით ევროპის კავშირის დახმარების მასშტაბები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში შესამჩნევად გაიზარდა. 2019 წელს ევროკომისიამ მსოფლიო ბანკთან (WB) ერთად ჩამოაყალიბა ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელი (TEN-T), რომელიც აფინანსებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე სახელმწიფოში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ბელარუსი და მოლდოვა). პროგრამის გეგმით, ამ ქვეყნებში 2030 წლამდე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 13 მილიარდი ევრო დაიხარჯება და ჯამურად 100 მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი დაფინანსდება. პროგრამის საერთო ბიუჯეტის (13 მილიარდი ევრო) 27% (3.5 მილიარდი ევრო) საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას მოხმარდება. პროგრამა საქართველოში იმ 18 მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას ითვალისწინებს, რომელთა შორისაა: [30]

ცხრილი N 1 – TEN-T პროგრამის ფარგლებში საქართველოში განსახორციელებელი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასახელება და ღირებულება (მლნ ევრო)

[30] https://netgazeti.ge/news/333985/

ქუთაისის ლოჯისტიკური ცენტრი	61.5 მილიონი ევრო
ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი	233 მილიონი ევრო
ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის საგზაო და სარკინიგზო ქსელი	100 მილიონი ევრო
ფოთი-გრიგოლეთის ხიდი	25 მილიონი ევრო
ქობულეთი-გრიგოლეთის გზის მშენებლობა	101 მილიონი ევრო
ბათუმი-სარფის შემოვლითი გზა	115 მილიონი ევრო
ქუთაისის აეროპორტისთვის სატვირთო ტერმინალის დამატება	61.5 მილიონი ევრო
დასავლეთი-აღმოსავლეთის მთავარ ავტობანზე არგვეთა-ჩუმათელეთის გზის მშენებლობა	1.006 მილიარდი ევრო
თბილისი-კუმისის ლოჯისტიკური ცენტრი	78.3 მილიონი ევრო
რუსთავი-წითელი ხიდის გზატკეცილის მშენებლობა	115 მილიონი ევრო
ალგეთი-სადახლოს გზის მშენებლობა	90 მილიონი ევრო
სადახლოს მეგობრობის ხიდის მშენებლობა	6 მილიონი ევრო

საქართველოში ევროპის კავშირის მიერ დაფინანსებული და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები, ძირითადად, „აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის“ ქოლგის ქვეშ განხორციელებული საერთო პროგრამის ნაწილია ხოლმე, რაც იმას გულისხმობს, რომ საერთო ინფრასტრუქტურული მიზნის მისაღწევად ევროპის კავშირის მიერ გამოყოფილი თანხები აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე სახელმწიფოში თითოეული სახელმწიფოს რეალური საჭიროებების გათვალისწინებით იხარჯება.

ინფრასტრუქტურისა და კავშირგაბმულობის (მათ შორის ენერგოუსაფრთხოებისა და ციფრული ინფრასტრუქტურის) მიმართულებით ევროპის კავშირის მიერ საქართველოში უკვე განხორციელებულ და მიმდინარე მსხვილ პროექტებს შორის გამოსარჩევია:

1. აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი პარტნიორობა - აღმოსავლეთ პარტნიორობაში ევროპის კავშირის ერთ-ერთი საფლაგმანო პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს CO2–ის და სხვა მავნე სათბური გაზების ემისიის შემცირებას, ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას, პოლიტიკის შესახებ დიალოგისა

და გარემოსდაცვითი მარეგულირებელი რეფორმების მხარდაჭერას. პროექტი 2011 წლიდან ხორციელდება და მისი დასრულება 2029 წლისთვის იგეგმება. პროექტის საერთო ბიუჯეტი 94 450 000 ევროს შეადგენს.[31] პროგრამის ფარგლებში საქართველოში 5 პროექტი განხორციელდა, რომელთა ინვესტიციების საერთო რაოდენობამ 81 მილიონი ევრო შეადგინა. ამ პროექტების განხორციელების შედეგად საქართველოში ყოველწლიურად კარბონის დიოქსიდი (CO2) გამოყოფა 7000 ტონით შემცირდა, ხოლო 14 000 მეგავატი/საათის რაოდენობის ენერგია დაიზოგა. [32]

2. EU4ENERGY - აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ენერგოუსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი მიმართულებით ევროპის კავშირის ძირითადი საფლაგმანო პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს ზემოხსენებულ სახელმწიფოებში ენერგომდგრადობის მიღწევას მწვანე, განახლებადი ენერგიის წახალისების გზით. პროექტი 5 ძირითად მიმართულებას მოიცავს:

I. EU4ENERGY მონაცემები: მიზანი - ენერგეტიკული მონაცემების მართვის გაუმჯობესება;

II. EU4ENERGY პოლიტიკა: მიზანი - დიალოგის მხარდაჭერა ენერგეტიკის პოლიტიკის საკითხებზე და ცოდნის გაზიარება იმ საკითხების ფართო სპექტრზე, როგორებიცაა: ენერგოუსაფრთხოება, მდგრადი განვითარება და ბაზრები;

III. EU4ENERGY მმართველობა: მიზანი - აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ტექნიკური დახმარება საკანონმდებლო და რეგულირების სფეროებში, პოლიტიკის რეკომენდაციების განხორციელება და ინვესტირება ენერგეტიკის ძირითად სტრატეგიულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში;

IV. EU4ENERGY ვებპორტალი: მიზანი - ინტერაქტიული ვებპორტალის შექმნა, რომელიც იქნება გლობალური ჰაბი ბენეფიციარი ქვეყნების შესახებ არსებული ინფორმაციისა (ენერგეტიკული მონაცემები, ენერგეტიკის ინფრასტრუქტურა, საინვესტიციო პროექტები და ა.შ.) ;

V.EU4ENERGY კომუნიკაცია და ცნობადობა: მიზანი - ცნობადობისა და კომუნიკაციის გაუმჯობესება ბენეფიციარ ქვეყნებსა და ევროპის კავშირს შორის ამ უკანასკნელის მიერ ენერგეტიკის სფეროში დაფინანსებული ორმხრივი და რეგიონული პროექტების შესახებ. [33]

პროექტის პირველი ეტაპი 2016-2020 წლებში განხორციელდა და მისი საერთო ბიუჯეტი 21 000 000 ევროს შეადგენდა. პროექტის მეორე ეტაპი 2021 წელს დაიწყო და

---

[31] https://euneighbourseast.eu/projects/eu-project-page/?id=249
[32] https://e5p.eu/georgia
[33] https://euneighbourseast.eu/news/publications/eu4energy-in-georgia/

2026 წელს დასრულდება. პროექტის მეორე ფაზის ფარგლებში საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში ენერგოუსაფრთხოების განვითარებაზე 5 807 428 ევრო დაიხარჯება.

3. EU4DIGITAL – პროექტმა ხელი შეუწყო აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში, მათ შორის საქართველოშიც, ერთიანი ციფრული ბაზრის გაფართოებას, როუმინგის ტარიფების შემცირებას, მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ინტერნეტის დანერგვას, კოორდინირებულ კიბერუსაფრთხოებას, ციფრული ჩარჩოს ჰარმონიზაციას საზოგადოების სხვადასხვა სფეროში, ციფრული უნარების გაუმჯობესებასა და სამუშაო ადგილების შექმნას ციფრულ ინდუსტრიაში. EU4DIGITAL 2019-2022 წლებში განხორციელდა. ის ევროპის კავშირმა 11 000 000 ევროთი დააფინანსა. [34]

4. ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი: გარემო პირობების მიმართ გამძლეობა - საქართველოში ყველაზე მსხვილი ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი 2018 წელს დაიწყო და 2023 წელს დასრულდა. ენგურჰესის რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციისთვის ევროპის კავშირმა 7 300 000 ევრო გამოყო.[35]

5. აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის ინტეგრირებული მართვის პოტენციალის შექმნის პროექტი - პროექტმა ხელი შეუწყო საზღვრის ინტეგრირებულ მართვას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესაბამისად. პროექტის მთავარი ფოკუსი საზღვრის მართვაში მონაწილე ეროვნული უწყებების, კერძოდ, პოლიციისა და საბაჟოს პოტენციალის შექმნას წარმოადგენდა. პროექტი 2014-2018 წლებში განხორციელდა. პროექტის განსახორციელებლად ევროპის კავშირმა 4 500 000 ევრო გამოყო. [36]

6. აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის ინტეგრირებული მართვის საფლაგმანო ინიციატივა: საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის წითელი ხიდის სასაზღვრო პუნქტის განვითარების მხარდაჭერა - ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში დაიხარჯა 2 130 000 ევრო. პროექტი 2015-2019 წლებში განხორციელდა.[37]

7. საქართველოში საგზაო უსაფრთხოების სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნის ხელშეწყობა და საგზაო უსაფრთხოების მართვის გაუმჯობესება - პროექტი 2022-2024 წლებში განხორციელდა, რისთვისაც ევროპის კავშირმა 1 300 000 ევრო გამოყო.[38]

---

[34] https://eu4georgia.eu/ka/projects/eu-project-page/?id=1793
[35] https://eu4georgia.eu/ka/projects/eu-project-page/?id=322
[36] https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=285
[37] https://eu4georgia.eu/ka/projects/eu-project-page/?id=242
[38] https://eu4georgia.eu/ka/projects/eu-project-page/?id=1745

8. საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამა - 2014-2020 წლებში განხორციელებული პროგრამა ფოკუსირებული იყო ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის საზღვრისპირა თანამშრომლობის გაძლიერებაზე. პროექტის ბიუჯეტი 1 050 000 ევროს შეადგენდა;[39]

9. საავიაციო ხელშეკრულებების განხორციელების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების და უშიშროების სტანდარტების განახლება ცენტრალურ აზიაში - პროექტმა, რომელიც 2016-2021 წლებში განხორციელდა, ხელი შეუწყო სამოქალაქო ავიაციის მდგრად განვითარებას აღმოსავლეთ პარტნიორობის და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. პროექტის განხორციელების შედეგად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ ხელშეკრულების (CAAA) მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოვიდნენ. პროექტის ბიუჯეტი 5 000 000 ევროს შეადგენდა.[40]

10. პრევენცია, მზადყოფნა და რეაგირება ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში - მე-3 ფაზა (PPRD EAST 3) - პროგრამა PPRD EAST განხორციელება აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში ევროპის კავშირმა 2010 წელს დაიწყო. პროექტი მიზნად ისახავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, კატასტროფების რისკის შემცირებას და კრიზის-მენეჯმენტის გაძლიერებას ამჟამად ხორციელდება პროგრამის მე-3 ფაზა (2020-2024), რომელიც ევროპის კავშირმა 5 999 971 ევროთი დააფინანსა.[41]

11. ევროპის კავშირი გარემოსთვის: წყლის რესურსები და გარემოსდაცვითი მონაცემები - ზემოხსენებული პროგრამა მიზნად ისახავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში წყლის რესურსების მონიტორინგსა და ენერგოეფექტური გამოყენების წახალისებას და ამ ქვეყნების მწვანე ტრანსფორმაციის შესაძლებლობას ევროპის მწვანე შეთანხმებისა და მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესაბამისად. პროექტის განხორციელება 2022 წელს დაიწყო და 2024 წელს დასრულდება. მისი ბიუჯეტი 12 000 000 ევროს შეადგენს.[42]

ცხრილი N 2 - ევროპის კავშირის მიერ საქართველოში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული (ენერგოუსაფრთხოებისა და ციფრული ინფრასტრუქტურის ჩათვლით) პროექტები და მათი ბიუჯეტი (მლნ ევრო)

---

[39] https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=283
[40] https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=251
[41] https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1535
[42] https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1719

პროექტი:	გეოგრაფიული განაწილება:	მიზანი:	ბიუჯეტი:
აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი პარტნიორობა	აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოები	კარბონის დიოქსიდის ემისიის შემცირება; აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება	94 500 000 ევრო
EU4ENERGY	აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოები	აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში განახლებადი ენერგიის წახალისება	27 000 000 ევრო
EU4DIGITAL	აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოები	აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში ერთიანი ციფრული ბაზრის შექმნა, ციფრული ჩარჩოს ჰარმონიზაცია	11 000 000 ევრო
ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი	საქართველო	ენგურჰესის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია	7 300 000 ევრო
აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის ინტეგრირებული მართვის პოტენციალის შექმნის პროექტი	აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოები	აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში საზღვრის ინტეგრირებული მართვის ეფექტურობის გაზრდა	4 500 000 ევრო
საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის წითელი ხიდის საზღვრის გადაკვეთის პუნქტის განვითარების მხარდაჭერა	საქართველო/აზერბაიჯანი	საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სახმელეთო საზღვრის უსაფრთხოების გაძლიერება	2 130 000 ევრო

საქართველოში საგზაო უსაფრთხოების სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნის ხელშეწყობა და საგზაო უსაფრთხოების მართვის გაუმჯობესება	საქართველო	საგზაო უსაფრთხოების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა	1 300 000 ევრო
საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამა	აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოები	აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის საზღვრისპირა თანამშრომლობის გაძლიერება	1 050 000 ევრო
საავიაციო ხელშეკრულებების განხორციელების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში	აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოები	აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში სამოქალაქო ავიაციის მდგრადი განვითარება	5 000 000 ევრო
პრევენცია, მზადყოფნა და რეაგირება ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში	აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოები	აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში კატასტროფის რისკების შემცირება და კრიზის-მენეჯმენტის გაძლიერება	6 000 000 ევრო
ევროპის კავშირი გარემოსთვის: წყლის რესურსები და გარემოსდაცვითი მონაცემები	აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოები	აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში წყლის რესურსების მონიტორინგი და წყლის რესურსების ენერგოეფექტურობის გაძლიერება	12 000 000 ევრო

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ ევროპის კავშირის ყოველწლიური პირდაპირი დახმარებისა და სხვადასხვა რეგიონული პროგრამის განხორციელების შედეგად საქართველოს სატრანზიტო მნიშვნელობა უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში განუზომლად გაიზარდა.

კულტურა

ევროპის კავშირი საქართველოში კულტურის მიმართულებით ორ ათწლეულზე მეტია მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს. ამ პროექტების მიზანი უნიკალური ქართული კულტურის შენარჩუნება და პოპულარიზაციაა. ევროპის კავშირის დახმარება კულტურის სფეროში 4 ძირითად მიმართულებას მოიცავს: 1. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-აღდგენა - მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ისტორიული ადგილებისა და მუზეუმების რესტავრაციას; 2. კულტურული და კრეატიული ინდუსტრიების მხარდაჭერა - გულისხმობს კინოინდუსტრიის, მუსიკალური ინდუსტრიისა და ვიზუალური ხელოვნების წახალისებას; 3. კულტურული გაცვლის პროგრამები - საქართველოს ეხმარება ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებთან კულტურათშორისი დიალოგის გაღრმავებაში; 4. კულტურული ინსტიტუციების გაძლიერება - სახელმწიფო ინსტიტუტებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ქართული სააგენტოების გაძლიერება. ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მიზნით ევროპის კავშირმა საქართველოს ათობით მილიონი ევროს მოცულობის დახმარება გამოუყო.

ცხრილი N 1 - ევროპის კავშირის პრიორიტეტები ქართულ კულტურაში

ევროპის კავშირის პრიორიტეტები ქართულ კულტურაში	ევროპის კავშირის მიზანი
კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება - აღდგენა	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ისტორიული ადგილებისა და მუზეუმების რესტავრაცია
კულტურული და კრეატიული ინდუსტრიების მხარდაჭერა	კინო, მუსიკალური და ვიზუალური ხელოვნების ინდუსტრიების წახალისება
კულტურული გაცვლის პროგრამები	საქართველოსა და ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის კულტურული დიალოგის გაღრმავება
კულტურული ინსტიტუციების გაძლიერება	კულტურის სფეროში სახელმწიფო ინსტიტუტებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოების გაძლიერება

ევროპის კავშირისა და კავშირის ცალკეული სახელმწიფოების დახმარებით საქართველოში მრავალი უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი შენარჩუნდა და აღდგა, მათ შორის:

1. ეროვნული მუზეუმის შენახვა - ბიუჯეტი: 2 000 000 ევრო. აფინანსებს ევროპის კავშირი;

2. ალავერდის რესტავრაცია - დააფინანსა ნიდერლანდების საელჩომ. ბიუჯეტი 70 000 ევრო;

3. ბეთლემის კლდისუბნის რესტავრაცია - დააფინანსა ნორვეგიის საელჩომ. ბიუჯეტი 2 000 000 ევრო;

ევროპის კავშირი კულტურის მიმართულებით საქართველოში ორ ფლაგმანურ პროექტს: „შემოქმედებითი ევროპა“ და „ევროპის კავშირი კულტურისათვის“ ახორციელებს. ორივე ეს პროგრამა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ექვსივე სახელმწიფოში ხორციელდება.

პროექტი „შემოქმედებითი ევროპა“ (Creative Europe) აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში, მათ შორის საქართველოშიც, 2014 წლიდან ხორციელდება. პროექტის მიზანი აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში კულტურისა და შემოქმედების სექტორების განვითარებაა. პროექტი ორი ძირითადი ქვეპროგრამისგან შედგება: 1. კულტურის ქვეპროგრამა, რომელიც მოიცავს: კულტურული თანამშრომლობის პროექტებს, ლიტერატურული თარგმანების პროექტებს, კულტურის სფეროს ქსელების განვითარებას; 2. მედია ქვეპროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს აუდიო-ვიზუალური ნამუშევრების შექმნას და გავრცელებას, მათ შორის ტრენინგებს, ფესტივალებსა და კინოსთან დაკავშირებულ სხვა საგანმანათლებლო საქმიანობას. პროექტის პირველი ფაზის განსახორციელებლად ევროპის კავშირმა 2014-2020 წლებში 4.6 მილიონი ევრო გამოყო.[43] „შემოქმედებითი ევროპის“ მეორე ფაზა 2021 წელს დაიწყო და 2027 წელს დასრულდება. პროექტის პირველი ფაზისგან განსხვავებით, მეორე ფაზა 3 ქვეკატეგორიისგან შედგება. პირველ (კულტურის ქვეპროგრამა) და მეორე (მედია ქვეპროგრამა) ქვეპროგრამებს დაემატა მესამე ქვეპროგრამა, რომლის მიზანი ყველა შემოქმედებით სექტორსა და ახალი ამბების მედია სექტორებში სექტორთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერებაა. „შემოქმედებითი ევროპის“ მეორე ფაზის ბიუჯეტი 2 440 000 ევროს შეადგენს.[44]

ევროპის კავშირის მიერ კულტურის სფეროში დაფინანსებულ მიმდინარე პროექტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფლაგმანო პროექტის სახელწოდებაა

[43] https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=259
[44] https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1628

„ევროპის კავშირი კულტურისთვის“ (EU4CULTURE), რომელიც 2021 წელს დაიწყო და 2024 წლის ბოლოს დასრულდება. პროექტი მხარს უჭერს კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის გაძლიერებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე სახელმწიფოში, მათ შორის - საქართველოშიც. პროექტის მიზანია კულტურის სექტორის გაძლიერება, ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით კულტურათშორისი დიალოგის ხელშეწყობა, ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება კულტურის სფეროს მიმართულებით. პროგრამის ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის თითოეული ქვეყნის 3 ქალაქი ადგილობრივი კულტურის განსავითარებლად 30 000 ევროს რაოდენობის გრანტს იღებს, ხოლო მათგან ერთი საკუთარი სტრატეგიის განსახორციელებლად 300 000 ევროს რაოდენობის დაფინანსებას მოიპოვებს.[45] საქართველოში პროექტის დაფინანსება მოიპოვა ქუთაისმა[46], ფოთმა[47] და ზუგდიდმა[48]. ადგილობრივი კულტურის წახალისება პროექტის ახალი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ადგილობრივი კულტურის შენარჩუნებას. პროექტის „ევროპის კავშირი კულტურისთვის“ ბიუჯეტი 7 850 000 ევროს შეადგენს.

ცხრილი N 2 - კულტურის მიმართულებით საქართველოში ევროპის კავშირის ფლაგმანური პროექტების (Creative Europe და EU4CULTURE) მიზნები და ბიუჯეტი

პროექტის დასახელება	**პროექტის მიზანი**	**პროექტის ბიუჯეტი (მლნ ევრო)**
„შემოქმედებითი ევროპა“	კულტურის სფეროს ქსელების განვითარება, ლიტერატურული თარგმანების პროექტების განხორციელება, აუდიო-ვიზუალური ნამუშევრების შექმნა და გავრცელება, სექტორთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება	7 044 000

[45] https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1487
[46] https://www.youtube.com/watch?v=FNlwL7o-aqk&list=PLZZFTizphwbWDiTYu2TF7HeQSu03I8uSu
[47] https://www.youtube.com/watch?v=lrBhNPBKW-4&list=PLZZFTizphwbWDiTYu2TF7HeQSu03I8uSu&index=2
[48] https://www.youtube.com/watch?v=O-TWQTAKYkI&list=PLZZFTizphwbWDiTYu2TF7HeQSu03I8uSu&index=3

„ევროპის კავშირი კულტურისთვის“	კულტურის სექტორის გაძლიერება, კულტურათშორისი დიალოგის ხელშეწყობა, ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება კულტურის სფეროს მიმართულებით.	7 850 000

ზემოხსენებული ფლაგმანური პროექტების გარდა, კულტურის მიმართულებით საქართველოში ევროპის კავშირის მიერ განხორციელებულ პროექტებს შორისაა:

1. „კულტურის და შემოქმედების პროგრამა“[49] - 2015-2018 წლებში ევროპის კავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის სახელმწიფოებში მიმდინარეობდა. პროექტის მიზანს წარმოადგენდა აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში, მათ შორის საქართველოში, კულტურის სფეროს ეროვნული პოლიტიკის გაძლიერება, კულტურისა და შემოქმედებით სფეროებში სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის კავშირის გაძლიერება, მონაწილე სახელმწიფოების მხარდაჭერა საერთაშორისო კულტურულ ინიციატივებში. ეს პროექტი, რომელიც, საქართველოს გარდა, სომხეთში, აზერბაიჯანში, მოლდოვაში, უკრაინასა და ბელარუსში მიმდინარეობდა, ევროპის კავშირმა 4.3 მილიონი ევროთი დააფინანსა;

2. 2010 წლიდან მოყოლებული, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში მოქმედებს ორი ე.წ. „დაძმობილებული“ (Twinning) პროექტი კულტურის მიმართულებით:

I. ეროვნული მუზეუმის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინსტიტუციურ გაძლიერებას და ეროვნული მუზეუმის საქმიანობაში ევროპის კავშირის საუკეთესო გამოცდილების დანერგვას. ამ პროექტის ბიუჯეტი 2 მილიონ ევროს შეადგენს;

II. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარე დაძმობილების პროექტი მიზნად ისახავს სააგენტოს ინსტიტუციონალური განვითარების მხარდაჭერას. სააგენტოს დონორი პარტნიორები იტალიის კულტურისა და ტურიზმის სამინისტრო და დანიის კულტურის სააგენტო არიან. ამ პროექტის ბიუჯეტი 1 მილიონ ევროს შეადგენს;[50]

---

[49] https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=288

[50] https://mythdetector.ge/ka/mithi-thithqos-dasavlethi-ebrdzvis-saqarthvelos-kulturul-thvithmqhophadobas-mtsdaria/

3. თემის მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიულ ქალაქებში (COMUS) – 2015-2017 წლებში განხორციელებული პროექტი მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში ცხრა პატარა და საშუალო ისტორიული ქალაქის მიერ ინტეგრირებული, მდგრადი და აქტიური მიდგომის შემუშავებას კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის რესურსების დაცვის, დაგეგმვისა და მართვის მიზნით. პროექტი COMUS განხორციელდა ეროვნული კულტურის სამინისტროების მიერ შერჩეულ 9 საპილოტე ქალაქში: გორისი და გიუმრი - სომხეთი; მსტისლავი - ბელარუსი; ჭიათურა და დუშეთი - საქართველო; სოროკა - მოლდოვა; ლუცკი, პრილუკი და ჟოლკვა - უკრაინა. პროექტის ჯამური ბიუჯეტი 430 000 ევროს შეადგენდა. [51]

ევროპის კავშირის კონცეფცია განსხვავებული კულტურების გაძლიერებაზეა ორიენტირებული, რაზეც მეტყველებს ევროპის კავშირის მთავარი დევიზიც - „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“. ევროპის კავშირი არა მხოლოდ მისი წევრი სახელმწიფოების კულტურულ მემკვიდრეობას იცავს, არამედ ცდილობს, წაახალისოს კულტურის სფერო და დაგეგმოს კულტურული პროექტები ევროპის კავშირის საზღვრებს გარეთაც. ქართული კულტურის გასაძლიერებლად ევროპის კავშირმა ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ათობით კულტურული პროექტი განახორციელა. ზემოხსენებული ფაქტები ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს ევროპის კავშირი ქართული კულტურისა და იდენტობის შესანარჩუნებლად.

[51] https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=289

თავდაცვა და უსაფრთხოება

ევროპის კავშირი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებასა და უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესებაში ეხმარება. თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში ევროპის კავშირის დახმარება ორი სახისაა: 1. პირდაპირი სამხედრო დახმარება, რომელსაც ევროპის კავშირი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადასცემს; 2. ევროპის კავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობა საქართველოში, რომელსაც უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საქართველოს უსაფრთხოების საჭიროებებზე ასობით მილიონი ევროს ოდენობის თანხა აქვს დახარჯული.

ევროპის კავშირმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2021-2023 წლებში 62.75 მილიონი ევროს ოდენობის პირდაპირი სამხედრო დახმარება გადასცა.[52] 2024 წელს ევროპის კავშირს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის 30 მილიონი ევროს ოდენობის დახმარება ჰქონდა გამოყოფილი, თუმცა, 2024 წლის მაისში საქართველოს ხელისუფლების მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ ევროპის კავშირმა საქართველოს ხელისუფლებისთვის უკვე გაცემული 30 მილიონი ევროს გაყინვის გადაწყვეტილება მიიღო.

საქართველოს თავდაცვის ძალების გაძლიერების ფარგლებში ევროპის კავშირის მიერ ქვეყნისათვის მოწოდებული აღჭურვილობა მოიცავს:

- სრულად აღჭურვილ ორ სამედიცინო დაწესებულებას;
- სამედიცინო აღჭურვილობას გორის სამხედრო ჰოსპიტლისთვის;
- 42 სატვირთო მანქანა;
- 96 ინდივიდუალურ და ჯგუფის დონის 17 საინჟინრო ნაკრებს;
- კიბერთავდაცვის წვრთნებსა და სწავლებებს.[53]

ევროპის კავშირმა 2021 წელს საქართველოს სასაზღვრო პოლიციას პროექტ „SAFE”-ის ფარგლებში 30 მაღალი გამავლობის მანქანა გადასცა, რომლის ღირებულებამ 693 000 ევრო შეადგინა. ზემოხსენებული მანქანები სასაზღვრო პოლიციას უკანონო მიგრაციასა და ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან ბრძოლაში ეხმარება.[54]

---

[52] https://eu4georgia.eu/eu-assistance-in-georgia/

[53] https://bm.ge/news/2008-tslidan-saqartvelos-tavdatsvis-dzalebis-gasadzliereblad-eumm-m-eur354-mln-ze-meti-gamoyo-eeas

[54]https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-

ამავე პროექტის ფარგლებში ევროპის კავშირმა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველოს სასაზღვრო პოლიციას 4 საპატრულო კატარღა გადასცა.

კიბერდანაშაულთან საბრძოლველად 2023 წელს ევროპის კავშირმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს 200 ათას დოლარზე მეტი ღირებულების მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობა გადასცა. 2020-23 წლებში ევროპის კავშირი შინაგან საქმეთა სამინისტროს 1.5 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობითა და პროგრამული უზრუნველყოფით დაეხმარა.[55]

პირდაპირი სამხედრო დახმარების გარდა, საქართველოში 2008 წლიდან მოქმედებს ევროპის კავშირის სადამკვირვებლო მისია, რომლის მიზანია:

- საომარი მოქმედებების განახლების თავიდან აცილების უზრუნველყოფა;
- აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების ორივე მხარეზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხო და ნორმალური საცხოვრებელი პირობების აღდგენის ხელშეწყობა;
- კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენა;
- საქართველოსა და რეგიონის შესახებ ევროპული პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრუქტურების ინფორმირება.[56]

%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A1-30-%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AA%E1%83%90_ka

[55] https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1_ka?s=221

[56] https://www.eumm.eu/ge/about_eumm/facts_and_figures

ევროპის კავშირის სადამკვირვებლო მისიამ საქართველოში უსაფრთხოების საჭიროებებზე 2008 წლიდან მოყოლებული, 354 მილიონი ევრო დახარჯა, მისიის 2023-2024 წლის ბიუჯეტი 47.141 მილიონს ევროს შეადგენს. ევროპის კავშირის სადამკვირვებლო მისიის სათავო ოფისი თბილისში, ხოლო რეგიონული ოფისები - მცხეთაში, გორსა და ზუგდიდში მდებარეობს. ამჟამად სადამკვირვებლო მისიაში 25 სახელმწიფოს 220 დამკვირვებელია ჩართული.[57]

საერთო ჯამში, ევროპის კავშირმა 2008-2023 წლებში საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებისა და უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესებისთვის თითქმის ნახევარი მილიარდი ევრო დახარჯა. ევროპის კავშირის დახმარება ხელს უწყობს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას, ნატოს სამხედრო სტანდარტებთან დაახლოებას, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების აღდგენასა და ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებას.

[57] https://www.eumm.eu/ge/about_eumm/facts_and_figures

ჯანდაცვა

ნაშრომის წინა ნაწილებში განხილული სექტორების მსგავსად, ევროპის კავშირი საქართველოს ჯანდაცვის მიმართულებით არსებული პრობლემების გადაწყვეტაშიც ეხმარება. ამ მიზნით უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ევროპის კავშირმა საქართველოს ასობით მილიონი ევროს ოდენობის პირდაპირი დახმარება თუ გრანტი გამოუყო. საქართველოში ევროპის კავშირის მიერ ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებული პროექტები რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს: 1. ჯანდაცვის სისტემის რეფორმირება - ჯანდაცვის სექტორში არსებული ინფრასტრუქტურისა და მენეჯმენტის გაუმჯობესება; 2. დაავადებების პრევენცია და კონტროლი - ჯანდაცვის საერთო დონის გაუმჯობესება საზოგადოებაში დაავადებების პრევენციისა და კონტროლის მექანიზმების დახვეწით; 3. სამედიცინო განათლების გაუმჯობესება - ჯანდაცვის სექტორში მომუშავე პროფესიონალთა მუდმივი გადამზადება; 4. მედიკამენტებზე ხელმისაწვდომის გაუმჯობესება; 5. COVID-19-ის წინააღმდეგ მიმართული ზომები - გლობალური პანდემიისგან გამოწვეული ზიანის შემცირება საავადმყოფებისთვის შესაბამისი აღჭურვილობის გადაცემისა და საჭირო რაოდენობის ვაქცინებით მომარაგების მეშვეობით;

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის კავშირმა საქართველოს ყველაზე მძიმე დროს, COVID-19 პანდემიისას, ფასდაუდებელი დახმარება გაუწია. ევროპის კავშირმა საქართველოს COVID-19-ის დასამარცხებლად ჯამურად 1.5 მილიარდი ევროს ოდენობის გრანტი გამოუყო - ამ მაჩვენებლით საქართველო მოწინავე სახელმწიფოა ერთ სულ მოსახლესთან შეფარდებით ევროპის კავშირის მიერ გამოყოფილი დახმარების რაოდენობით. ჯამურად გამოყოფილი თანხები მრავალ სექტორზე განაწილდა, მათ შორის: ეკონომიკაზე, სოფლის მეურნეობაზე, განათლებაზე, ჯანდაცვაზე და ა.შ. ჯანდაცვის სექტორზე სრული გრანტის 1/5, 300 მილიონი ევრო გამოიყო. გამოყოფილი გრანტის ფარგლებში საქართველომ მიიღო საჭირო სამედიცინო აღჭურვილობა, მათ შორის რესპირატორები, საჰაერო ვენტილატორები, გრანტის დახმარებით შეივსო საწოლფონდები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალებმა გაიარეს გადამზადება, რამაც პანდემიასთან ბრძოლა ჯანდაცვის სექტორს მნიშვნელოვნად გაუადვილა. [58]

ევროპის კავშირი საქართველოში ჯანდაცვის მიმართულებით როგორც რეგიონულ (აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში), ისე ადგილობრივ პროექტებს ახორციელებს. ევროპის კავშირის მიერ საქართველოში ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია:

[58] https://eu4georgia.eu/together-against-covid-19/

1. ევროპის კავშირის „ჯანმრთელობის უსაფრთხოების ინიციატივა“ (EU4HEALTH Initiative) - ჯანდაცვის მიმართულებით ევროპის კავშირის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში განხორციელებული ერთ-ერთი ფლაგმანური პროექტი. ინიციატივის ზოგადი მიზანია ჯანმრთელობის უსაფრთხოების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის მოქალაქეების დასაცავად გადამდები დაავადებებით გამოწვეული ტრანსსასაზღვრო ჯანმრთელობის საფრთხეებისგან, ჯანმრთელობის საფრთხეებზე რეაგირების მიზნით პარტნიორი ქვეყნების კვალიფიკაციისა და ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება და სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის მხარდაჭერა ევროპის კავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ინფორმაციის, საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების საშუალებით. ინიციატივის განხორციელება 2020 წელს დაიწყო და 2024 წელს დასრულდება. მისი ბიუჯეტი 6 000 000 ევროს შეადგენს;[59]

2. ევროპის კავშირის ინიციატივა „სოლიდარობა ჯანმრთელობისთვის“ - ევროპის კავშირის მიერ ჯანდაცვის სფეროს მიმართულებით უკვე დასრულებულ ფლაგმანურ პროექტებს შორის აღსანიშნავია ინიციატივა „სოლიდარობა ჯანმრთელობისთვის“. ინიციატივის მიზანია პარტნიორი სახელმწიფოების გადაუდებელი საჭიროებების მოგვარება. ინიციატივა ხელს უწყობს აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს კოვიდპანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში. პროექტი 2020-2022 წლებში განხორციელდა და მისი ბიუჯეტი 34 720 000 ევროს შეადგენდა;[60]

3. „ჯანდაცვის, განათლებისა და შესაძლებლობების განვითარების გაუმჯობესება სოციალურად დაუცველი დედებისა და ბავშვებისთვის“ - ზემოხსენებული პროექტი მიზნად ისახავდა ახმეტისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები, მოწყვლადი დედებისა და ბავშვებისთვის დახმარებისა და საჭირო მომსახურების გაწევას ჯანდაცვის, განათლების და მათი შესაძლებლობების განვითარების გაუმჯობესების მიზნით. პროექტი 2016-2019 წლებში მიმდინარეობდა და ის ევროპის კავშირმა 391 061 ევროთი დააფინანსა;[61]

4. „EMCDDA4GE - ნარკოტიკულ საშუალებათა არალეგალური ბაზრის შედეგად გამოწვეულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებზე ეროვნული რეაგირების მექანიზმების ეტაპობრივი გაძლიერება“ - პროექტის მიზანი იყო ნარკოტიკულ საშუალებათა არალეგალური ბაზრის შედეგად შექმნილი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებზე რეაგირებისათვის საჭირო მექანიზმების გაძლიერება. პროექტის ფარგლებში ტრენინგებისა და შესაძლებლობის ამაღლების გზით საქართველოში გაძლიერდა ნარკოდამოკიდებულების სამკურნალო სისტემა.

[59] https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1426
[60] https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1293
[61] https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=29

პროექტი 2021-2023 წლებში მიმდინარეობდა და მისი ბიუჯეტი 800 000 ევროს შეადგენდა;[62]

5. „საქართველოში COVID-19 პანდემიის უარყოფითი ზეგავლენის მინიმუმამდე შემცირება ტელემედიცინისა და ციფრული სამედიცინო ტექნოლოგიების საშუალებით“ - 2021-2024 წლებში მიმდინარე ეს პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში COVID-19 პანდემიით გამოწვეული ზიანის მაქსიმალურად შემცირებას. პროექტის ფარგლებში სოფლად ჯანდაცვის სისტემაში ახალი მომსახურების მიდგომა ჩამოყალიბდა - ხარისხიანი პირველადი ჯანდაცვის მომსახურების გაწევა ტელემედიცინისა და ტელეგანათლების მეშვეობით, ასევე, სოფლად მომუშავე ჯანდაცვის მუშაკების შესაძლებლობების გაზრდა. პროექტის ბიუჯეტი 4 500 000 ევროს შეადგენს;[63]

6. “ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში” - 2020-2023 წლებში საქართველოში განხორციელებული ამ პროექტის მიზანი იყო ლაბორატორიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების ერთიანი პლატფორმის შექმნის გზით ლაბორატორიული მომსახურების დარგის ახალგაზრდა პროფესიონალთა კომპეტენციების გაძლიერება და დასაქმება თბილისსა და საქართველოს ოთხ რეგიონში: კახეთში, იმერეთში, აჭარასა და გურიაში. პროექტის ბიუჯეტი 437 500 ევროს შეადგენდა;[64]

ცხრილი N 1 - ცხრილი N 1 - ევროპის კავშირის მიერ ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული პროექტები საქართველოში

პროექტი:	გეოგრაფიული განაწილება:	მიზანი:	ბიუჯეტი:	განხორციელების პერიოდი:
ჯანმრთელობის უსაფრთხოების ინიციატივა (EU4HEALTH)	აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოები	ჯანმრთელობის უსაფრთხოების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის მოქალაქეების დასაცავად გადამდები	6 000 000 ევრო	2020-2024

[62] https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1555
[63] https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1598
[64] https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1295

		დაავადებებით გამოწვეული ტრანსსასაზღვრო ჯანმრთელობის საფრთხეებისგან		
„სოლიდარობა ჯანმრთელობისთვის“	აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოები	პარტნიორი სახელმწიფოების გადაუდებელი საჭიროებების მოგვარება, განსაკუთრებით COVID-19 პანდემიის წინააღმდეგ.	34 720 000 ევრო	2020-2022
„ჯანდაცვის, განათლებისა და შესაძლებლობების განვითარების გაუმჯობესება სოციალურად დაუცველი დედებისა და ბავშვებისთვის“	საქართველო	ახმეტისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები, მოწყვლადი დედებისა და ბავშვებისთვის დახმარებისა და საჭირო მომსახურების გაწევა ჯანდაცვის, განათლების და მათი შესაძლებლობების განვითარების გაუმჯობესების მიზნით.	391 061 ევრო	2016-2019
„EMCDDA4GE – ნარკოტიკულ საშუალებათა არალეგალური ბაზრის შედეგად გამოწვეულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებზე ეროვნული რეაგირების	საქართველო	ნარკოტიკულ საშუალებათა არალეგალური ბაზრის შედეგად შექმნილი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებზე რეაგირებისათვის	800 000 ევრო	2021-2023

მექანიზმების ეტაპობრივი გაძლიერება“		საჭირო მექანიზმების ეტაპობრივი გაძლიერება.		
„საქართველოში COVID-19 პანდემიის უარყოფითი ზეგავლენის მინიმუმამდე შემცირება ტელემედიცინისა და ციფრული სამედიცინო ტექნოლოგიების საშუალებით“	საქართველო	სოფლად ჯანდაცვის სისტემაში ახალი მომსახურების მიდგომის ჩამოყალიბება - ხარისხიანი პირველადი ჯანდაცვის მომსახურების გაწევა ტელემედიცინისა და ტელეგანათლების მეშვეობით.	4 500 000	2021-2024
“ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში”	საქართველო	ლაბორატორიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების ერთიანი პლატფორმის შექმნის გზით ლაბორატორიული მომსახურების დარგის ახალგაზრდა პროფესიონალთა კომპეტენციის გაძლიერება და დასაქმება თბილისსა და საქართველოს ოთხ რეგიონში: კახეთში,	437 500 ევრო	2020-2023

		იმერეთში, აჭარასა და გურიაში.	

ზემოხსენებული სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ევროპის კავშირის დახმარება საქართველოს ჯანდაცვის სექტორის ეფექტური ფუნქციონირებისთვის. ევროპის კავშირის მიერ ჯანდაცვის სექტორში დაფინანსებული პროექტები ხელს უწყობს ჯანდაცვის სისტემაში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებთან გამკლავებას და საქართველოს თითოეულ მოქალაქეს საგრძნობ სარგებელს აძლევს.

დასკვნა

ზემოხსენებული პუბლიკაცია მიზნად ისახავს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ევროპის კავშირის მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარების წარმოჩენას. ნაშრომი მიმოიხილავს ევროპის კავშირის მიერ საქართველოში განხორციელებულ პროექტებს რამდენიმე ძირითად სექტორში: განათლებაში, სოფლის მეურნეობაში, მეწარმეობაში, ინფრასტრუქტურაში, კულტურაში, თავდაცვასა და უსაფრთხოებაში, ჯანდაცვაში.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, მხოლოდ პირდაპირი დახმარების სახით ევროპის კავშირმა საქართველოსთვის 2.5 მილიარდ ევროზე მეტი გამოყო. თითოეულ დასახელებულ სექტორში ევროპის კავშირის დახმარება იმგვარადაა განაწილებული, რომ მიღებული სარგებელი მაქსიმალურად იგრძნოს თითოეულმა მოქალაქემ.

ევროპის კავშირის საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით, საქართველოს განათლების სისტემა მაქსიმალურად დაუახლოვდა ევროპულ მოდელს, 11 000-ზე მეტმა სტუდენტმა ევროპაში ხარისხიანი განათლება მიიღო.

ევროპის კავშირის სოფლის მეურნეობის პროგრამებმა ხელი შეუწყო საქართველოში ფერმერების ეკონომიკურ მხარდაჭერას, მათ პირდაპირ ფინანსურ დახმარებას და მეურნეობების წახალისებას.

ევროპის კავშირის მეწარმეობის პროგრამების მეშვეობით მცირე და საშუალო ქართული ბიზნესები მათთვის ყველაზე მძიმე პერიოდში გადარჩა და ეფექტური ფუნქციონირება გააგრძელა, რამაც არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნება და ათიათასობით ახალი სამუშაო ადგილის გაჩენა განაპირობა.

ევროპის კავშირის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების მეშვეობით საქართველოს, როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო დერეფნის, ფუნქცია გაძლიერდა, საქართველოში ახალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლისთვის ხელსაყრელი გარემო შეიქმნა და, შესაბამისად, საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მნიშვნელობა გაიზარდა.

ევროპის კავშირმა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები აღადგინა, ხელი შეუწყო უნიკალური ქართული კულტურისა და იდენტობის შენარჩუნებას და ქართული კულტურის მთელ მსოფლიოში პოპულარიზაციას.

თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ევროპის კავშირის მიერ განხორციელებულმა პროექტებმა ხელი შეუწყო საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას, ნატოს სამხედრო სტანდარტებთან დაახლოებას,

ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების აღდგენასა და ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებას.

ევროპის კავშირის მიერ ჯანდაცვის სექტორში დაფინანსებული პროექტები საქართველოს განსაკუთრებით მძიმე პერიოდების დაძლევაში დაეხმარა, ხელი შეუწყო ჯანდაცვის სისტემაში არსებულ პრობლემებთან და გამოწვევებთან გამკლავებას, გადაარჩინა უამრავი ინდივიდის სიცოცხლე და ათიათასობით ადამიანს ჯანმრთელობა შეუნარჩუნა.

ჯამურად, ევროპის კავშირის მიერ საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის გაწეული დახმარება ფასდაუდებელია. ქართველი ხალხი უზომოდ მადლიერია ევროპის კავშირის, საქართველოს ძვირფასი მეგობრის, რომელიც ჩვენი ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების ერთგული მხარდამჭერია.

გამოყენებული ლიტერატურა:

გამოყენებული დოკუმენტები და ინტერნეტ-წყაროები:

EVALUATION OF THE EU'S COOPERATION WITH GEORGIA, Final Report , Volume I – Main report, September 2022, pp 230

http://erasmusplus.org.ge/files/files/Tempus_and_Erasmus_Mundus_in_Georgia-overview-ge.pdf

http://erasmusplus.org.ge/ka/services/jean-monnet

https://bm.ge/news/2008-tslidan-saqartvelos-tavdatsvis-dzalebis-gasadzliereblad-eumm-m-eur354-mln-ze-meti-gamoyo-eeas

https://civil.ge/ka/archives/615700

https://e5p.eu/georgia

https://erasmus-plus.ec.europa.eu/resources-and-tools/statistics-and-factsheets

https://erasmus-plus.ec.europa.eu/resources-and-tools/statistics-and-factsheets

https://erasmus-plus.ec.europa.eu/resources-and-tools/statistics-and-factsheets

https://erasmus-plus.ec.europa.eu/resources-and-tools/statistics-and-factsheets

https://eu4business.eu/about-us/initiative/

https://eu4business.eu/countries/georgia/

https://eu4business.ge/en/reports/

https://eu4business.ge/en/reports/

https://eu4business.ge/en/reports/

https://eu4business.ge/en/reports/

https://eu4business.ge/en/reports/
https://eu4business.ge/en/reports/

https://eu4georgia.eu/eu-assistance-in-georgia/

https://eu4georgia.eu/ka/projects/?search=&country%5B0%5D=1&country%5B1%5D=2&filter=ongoing&country_view%5B0%5D=1&country_view%5B1%5D=2&pageno=5

https://eu4georgia.eu/ka/projects/eu-project-page/?id=1745

https://eu4georgia.eu/ka/projects/eu-project-page/?id=1793

https://eu4georgia.eu/ka/projects/eu-project-page/?id=242

https://eu4georgia.eu/ka/projects/eu-project-page/?id=322

https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1293

https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1295

https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1426

https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1487

https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1535

https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1555

https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1598

https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1628

https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1719

https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=251

https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=259

https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=283

https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=285

https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=288

https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=289

https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=29

https://eu4georgia.eu/together-against-covid-19/

https://eu4georgia.eu/sme-growth-and-innovation-in-georgia/

https://euneighbourseast.eu/news/publications/eu4energy-in-georgia/

https://euneighbourseast.eu/projects/eu-project-page/?id=249

https://factcheck.ge/storage/media/other/2024-04-18/375dc1c0-fd8c-11ee-bd69-b3a753996ede.pdf?fbclid=IwY2xjawE5HtRleHRuA2FlbQIxMAABHQQ2RPMDe_1NIUt_Wlxmf-th6WEQPp2aISzh1m7bQn52_lXUZOdbABv4Q_aem_mVn7ddlQPtbUnYjIo_oVBg

https://grass.org.ge/uploads/other/2023-02-28/1510.pdf

https://infocenter.gov.ge/en/blog-en/how-did-the-european-union-help-georgia-and-why-should-georgia-join-the-european-union/

https://mfa.gov.ge/european-union/903144-saqartvelo-evrokavshiris-urtiertobebis-mnishvnelovani-movlenebis-qronologia

https://mythdetector.ge/en/what-financial-assistance-did-the-european-union-provide-to-georgia-for-business-and-other-areas/

https://mythdetector.ge/ka/mithi-thithqos-dasavlethi-ebrdzvis-saqarthvelos-kulturul-thvithmqhophadobas-mtsdaria/

https://netgazeti.ge/news/333985/

https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90-

%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1_ka

https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A1-30-%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AA%E1%83%90_ka

https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A1-30-%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AA%E1%83%90_ka

https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98-

%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1_ka?s=221

https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/evaluation-eu-support-georgia-2014-2020_en?s=221

https://www.eumm.eu/ge/about_eumm/facts_and_figures

https://www.eumm.eu/ge/about_eumm/facts_and_figures

https://www.facebook.com/monitorstudio/posts/pfbid02CeYYYeyrzH7RwyiSYA9Vq4M1t74vforCXkrFqPzkAYbtLteED3FCaZzM8qcmdumhl

https://www.instagram.com/p/C9eTub3hV06/?img_index=1

https://www.youtube.com/watch?v=FNlwL7o-aqk&list=PLZZFTizphwbWDiTYu2TF7HeQSu03I8uSu

https://www.youtube.com/watch?v=lrBhNPBKW-4&list=PLZZFTizphwbWDiTYu2TF7HeQSu03I8uSu&index=2

https://www.youtube.com/watch?v=O-TWQTAKYkI&list=PLZZFTizphwbWDiTYu2TF7HeQSu03I8uSu&index=3